

სახალხო გაზეტი

საქართველოში დასაბამი

გაზეტის № 791

დაბეჭდვის № 139

კვირა, 6 იანვარი 1913 წ.

ბედნიერი მეფის ასული

(ხ ლ ა პ ა რ ი)

თსკარ უაღდისა.

მთელს ქალაქს დაჰყურებდა მალალ სვეტის თავზე ამართული მეფის ასულის ქანდაკება. იგი მთლად შემოსილი იყო ბაჯალლო ოქროს სიფრიფანა ფურცლებით, თვალების ალაფას ორი იშვიათი საფირონი უბრწყინავდა, ხმლის ტარზე კი—დიდი ლალი.

ყველა აღტაცებაში მოდიოდა ამ სანახაობით.

— ეს ისევე მშვენიერია, როგორც შენობაზე ამართული მამალი, — წარმოსთქვა ერთმა ქალაქის მამათაფანმა, რომელსაც თავი მოჰქონდა თვისი არტისტული გემოვნებით.

— რაღა თქმა უნდა, უფრო უსარგებლოა, — დაუმატა იმან, თითქოს ეშინოდა და ბრალი არ დამდონ უანგარიშობაშიო, რაც სრულიად მართალი არ იქნებოდა.

— რატომ არ ჰგეხარ ბედნიერ მეფის ასულს?

ეკითხებოდა დედა თვის ბალანას, რომელიც ტირილი ხელებს მთვარისკენ აშვავდა. — ბედნიერ მეფის ასულს აზრდაც არ მოუვიდოდა ეტირანა.

— კიდევ კარგი, დედამიწის ზურგზე ერთი ბედნიერი მაინც ყოფილა, — წაილულულა ერთმა ბედისაგან დაჩაგრულ-დაბრწყინებულმა, როცა ქანდაკებას შეჰხედა.

— ანგელოზსავეთაა, — იძახდნენ ეკლესიიდან გამომავალნი წითელ წამოსახამი და თეთრ სუფთა ფესტამლებით გამოწყობილი თავშესაფარის ყმაწვილები.

— საიდან იცით? — ჰკითხა მათემატიკის მასწავლებელმა, — განა როდისმე გინახავთ ანგელოზები?

— ხანდახან სიზმარში გამოგვეცხადებიან ხოლმე, — უპასუხებდნენ ბავშვები; მათემატიკოსი სასტიკად მოიღუშებოდა,

რადგან არ მოსწონდა ბავშვების ასეთი ჩვეულება და არც ის რომ სიზმარსა ჰხედავდნენ...

ერთხელ ღამით ქალაქზე მიფრინავდა პატარა მერცხალი. მისი მეგობრები აგერეკვისი თვეც იქნება ეგვიპტეში გაფრინდნენ. ეს კი დარჩა, რადგან არ ძალუძდა გაჰშორებოდა მის გულის დამმონავებელს წვრილ კოხტა ლერწამს. ერთმანეთი გაზაფხულზე გაიცნეს. მერცხალი მიეკანებოდა ყვითელ პეველის დასაქერად, რომ უცბად დატყვევებულ იქნა ლერწამის წერწეტა სანახაობით.

— ნება მიბოძეთ შეგიყვაროთ! — დაუფიქრებლივ წამოიძახა მერცხალმა.

— ლერწამმაც მოხდენილად თავი დაუკრა.

ამის შემდეგ მერცხალი მის გარშემო დაფრინავდა და წყალზე ფრთის დაკვრით და აქეთ-იქით წუნწკლების გაფანტვით ლერწამს ეარმიყებოდა. მთელი ზაფხული ამ რიგად გაატარა.

— რა საკვირველად გადაეკიდა! — ჟლივ-ჟლივობდნენ დანარჩენი მერცხლები: — ლერწამი უქრთამოა და ნათესაობაც დიდი ჰყავს.

მართლაც მთელი მდინარე ლერწმით იყო დაფარული.

შემოდგომაზე მერცხლები გაფრინდნენ. იმათ შემდეგ ჩვენმა ნაცნობმა თავი მართოდ იგრძნო და სატრფოზე გული აიკრუა.

— „ლაპარაკი სრულიად არ იცის, — სთქვა მან, — ამასთანავე ქარაფშუტა, პრანქიაა, მუდამ ქარს უცინის და ეკურკურება“.

როდესაც ქარი დაუბერავდა მართლაც ლერწამი, მიეგებებოდა მას მოხდენილის თავის დაკვრით.

— „გონია, თვისი სახლი ძალიან უნდა უყვარდეს, — განაგრძობდა მერცხალი, — მე კი მოგზაურობა მიყვარს და ჩემი მეუღლეც ასეთი უნდა იყვეს“.

— გამოძევებით? — ბოლოს ჰკითხა თვის სატრფიალო სანგანს, — მაგრამ ლერწამმა თავი გააქნა. იგი ისე ძალიან იყო დაკავშირებული თვის ბინასთან, რომ თავს ვერ დაანებებდა.



უმანკო ხული.

ლიტოგრაფია
გრუზ. მხ. დ. ტ. 2
თბ. ტიფლისი

— მაშ, თქვენი მასხარა ვყოფილ-
ვარ! — გაცეცხლდა მერცხალი, —
მშვიდობით. პირამიდებისაკენ უნდა
გავფრინდე.

და გზას გაუდგა.
მთელი დღის მოგზაურობის შემ-
დეგ, ღამე ქალაქში მიფრინდა.

— ღამე სად გავათიო? უეჭველია,
აქაურები კარგად მიმიღებენ! — სთქვა
მერცხალმა და იქვე თვალი მოჰკრა
ხვეტზე აღმართულ ქანდაკებას.

— აი, აქ დავისვენებ, მშვენიერი
და ფართო ალაგია.

ამ სიტყვებით მერცხალი ბედნიერ
მეფის ასულის, ფეხებთან დაეშვა.

— ოჰო, ოქროს საწოლ იმეძნება —
გაუხარდა მას.

მიიხედ-მოიხედა, გაემზადა დასაძი-
ნებლად, უნდოდა თავი ფრთის ქვეშ
ამოედო, რომ მსხვილი წვეთი და-
ეცა.

— რა საკვირველება! ცაზე ერთი
ღრუბელიც არ არის, ვარსკვლავები
ასე კაშკაშებენ და წვიმა კი მოდის.
ჰო, ჩრდილოეთ ევროპაში ცული ჰა-
ვია! ჩემს ლერწამს წვიმა უყვარდა,
ეს მეტის მეტი ეგოიზმია...

აი კიდევ ერთი წვეთი დაეცა.

— რა თავში ვიხლი ამ ქანდაკე-
ბას, თუ კი წვიმისაგანაცვერ დამი-
ფარავს, სხვაგან სადმე სახურავს
ქვეშ უნდა მოვძებნო ბინა.

და გაფრენა დააპირა.

მაგრამ სანამ ფრთებს გაშლიდა მესამე წვეთიც დაეცა,
თავი მალა ასწია და რას ჰხედავს?

ბედნიერ მეფის ასულის თვალები ცრემლებით სავსე იყო
ღ ღაბა-ღუბით ოქროს დაწვებზე ჩამოსდიოდა, მისი სახე მთვა-
რის შუქზე ისე მომხიზლავად გამოიყურებოდა, რომ მერცხალს
გული სიბრალულით აევსო.

— ვინა ხარ?

— მე ბედნიერი მეფის ასუ-
ლი.

— რა გატირებს? მთლად
ღამაღამე.

— როცა ცოცხალი ვიყავ
ადამიანის გული მქონდა — და
არ ვიცოდი რა იყო ცრემლი.
ვცხოვრობდი სანსუსის სასა-
ხლეში, სადაც დარდასა და ვარ-
ამს შემოსვლა აკრძალული
ჰქონდათ, დღე ჩემს კარისკაცებ-
თან ბაღში ვთამაშობდი, ღამ-
ის კი დიდ დარბაზში ცეკვაში
გატარებდი. ბაღს დიდი მალა-
ლი კედელი ჰქონდა შემოვლენ-
ბული ღ არც კი მიფიქრია გა-
მეგო, თუ იმის იქით რა ხდე-
ბოდა, ჩემს გარშემო ყველა-
ფერი ისე მშვენიერი იყო! კა-
რის კაცები ბედნიერ მეფის
ასულს მეძახდნენ, მართლაც,
ბედნიერი ვიყავ, თუ ბედნიე-
რება სიამოვნებაშია. ასე ვცხოვ-
რობდი და ასე მოვეკვდი.

ახლა, როცა ცოცხალი აღარა ვარ, ისე მალა აღმმართეს,
რომ ამ ქალაქის ყველა გატირებულსა და სიღარიბესა ვხედავ.
თუმცა ჩემი გული ტყვისაა, მაგრამ მაინც ცრემლებისაგან თავი
ვერ შემიკავებია.

— როგორ, განა ნამდვილი ოქროს გული არა აქვს? — გა-
იფიქრა მერცხალმა. იგი მეტად ზრდილობიანი იყო, რომ ხმა
მალღვი პიროვნების შესახებ რამე შეენიშნა.

ვლ. მესხიშვილის მომავალ იუბილემის გამო.



ვლ. მესხიშვილი 11 წლისა.

— აგერ, შორს, — განაგრძობდა მე-
ფის ასული წყნარისა და ტკბილის
ხმით, — შორს, ვიწრო ქუჩაში პატა-
რა სახლია; ერთი ფანჯარა ღიაა;
ვხედავ, მაგიდასთან დედაკაცი ზის,
მოქანცული და ფერდაკარგულია.
ხელის თითები ნემსისაგან მთლად
დაჰბებრებია, — ოქრომკედის მქარგა-
ვია. მომავალ ბაღისათვის ვის უმშვე-
ნიერეს მეფის ასულის ძვირფას კა-
ზახე საუცხოვო სახესა ჰკარგავს.
ოთახის კუნძულში საწოლზე კი
ავადმყოფი ბავშვი წევს. სიციხისაგან
შფოთავს და ფართოხალს ითხოვს.
მშობელს? კი წყლის მეტის სხვაარა-
ფრის მიწოდება არ შეუძლიან, რაც
ავადმყოფს ძალიან ატირებს. ჩემო
მალ-ფრთებიანი მერცხალო, ეს ჩე-
მი ხმლის ლალი წაუღე იმ დედაკაცს,
მე ფეხები სვეტზე მიმაგრებული მაქვს
და დაძვრა არ შემიძლიან.

— ეგვიპტეში მიმელოდებიან, — მი-
უგო მერცხალმა, — ჩემი მეგობრები
ნილოსის პირად მიმოფრინავენ და
ყვავილებთან ჩურჩულებენ. ისინი
მალე ფარაონის საფლავისაკენ გას-
წვენ. თვით ფარაონი უცნოდ მო-
ხატულ კუბოში განისვენებს, შეხვე-
ულია ყვითელ ქსოვილებით და სურ-
ნელოვან ბალახების წამლებითაა შე-
ზავებული. კისერზე ბაცი მწვანე
ეშმის ქვის ძეწკვი აქვს ჩამოგდებუ-
ლი, ხელები კი გაყვითლებულ ფო-
თლებში უგავს.

— ჩემო ცუგრუმელო, პაწაწკინავ, ოო, რომ ერთ ღამეს მა-
ინც დარჩენილიყავ და ჩემი მოციქულობა გეკისრა! ბავშვი
წყურვილისაგან კვდება, დედა კი ისე დანაღვლიანებულია.

— მგონია, ბავშვები არ მიყვარს — მიუგო მერცხალმა. შარ-
შან, როცა მდინარის პირას ვცხოვრობდი, ორ პატარა ბიჭს
ვიცნობდი, მეწისქვილის შვილები იყვნენ. მუდამ ქვევს მეს-
როდნენ. რასაკვირველია, —
ვერც ერთხელ ვერ მომახვედ-
რეს. ჩვენ, მერცხლები სწრაფად
დავწავარდობთ, ამასთანავე ჩემი
წინაპრები სისწრაფეში გან-
თქმულები იყვნენ: მაგრამ მა-
ინც იმათ მხრით უბატავცემუ-
ლობა იყო.

ბედნიერი მეფის ასული კი ისე
დანაღვლიანებული შესცქერო-
და, რომ მერცხალს გული სიბ-
რალულით აევსო.

— აქ ძალიან ცივა, მაგრამ
ამის და მიუხედავად შენთან
ერთ ღამეს დავრჩები და აგის-
რულვებ დავალვას.


— დიდად გმადლობ, ჩემო
ჩიტუნია.

აი, მან ნისკარტით ხმლის
ტარიდან ლალი ამოაგდო და
სახურავებს ზემოდან გაფრინდა.
გვერდზე ჩაუქროლა თეთრ
მარპარილოს ანგელოზებით შე-
კულ ეკლესიის სამრეკლოს,
მეფის სასახლეს, საიდანაც ტკბი-
ლი მუსიკის ხმისმოდა; აივანზე მალმერთებელის თანხლებით
გამოჩნდა მშვენიერი მეფის ასული.

— ჩემი კაბა იმ დიდ ქალისთვის მზად იქნება. ვუბრძანე სა-
ხეები კ რვად ამოეკერა, მკერვალები კი ასე ზარმაცები არიან.

მერცხალი მდინარეზე გადაფრინდა, სადაც გემების მალაღ
ილქნებზე ღამეები შენიშნა. შეამჩნია, მოხუცი ებრაელები

ქართული მუზეუმი



ქართველი ქალები მე-60-ე წლებში — მარცხნივ და მუშაში — ელენე ჩოლო-
ყაშვილისა და ბარბარე თუმანიშვილისა, ასულნი — დ ივანე მალხაზის ძე ანდრო-
ნიკაშვილისა და მარჯვნივ არჩილ ივანეს ძე ანდრონიკაშვილის მეუღლე — ბარბარე.

ეხლა, როცა ცოცხალი აღარა ვარ, ისე მალა აღმმართეს,
რომ ამ ქალაქის ყველა გატირებულსა და სიღარიბესა ვხედავ.
თუმცა ჩემი გული ტყვისაა, მაგრამ მაინც ცრემლებისაგან თავი
ვერ შემიკავებია.

— როგორ, განა ნამდვილი ოქროს გული არა აქვს? — გა-
იფიქრა მერცხალმა. იგი მეტად ზრდილობიანი იყო, რომ ხმა
მალღვი პიროვნების შესახებ რამე შეენიშნა.

თითბრის სასწორზე ფულებსა სწონავდნენ. აი, ქობსაც მიახწია, შიგ შეიხედა და დაინახა ბავშვი საწოლში შფოთავდა, დედას კი თავი ხელებში ჩაეღო და ისე ჩასძინებოდა; საბრალო მთლად მოქანცულიყო. მერცხალი ოთახში შეფრინდა და ლალი, სათითეს გვერდზე, მაგიდაზე დასდო. საწოლს რამდენჯერმე გარს შემოაფრინა და თვისი ფრთებით ყმაწვილს გახურებული შუბლი გაუფრიალა.

— უჰ, რა კარგა აგრძილა, მგონი ეხლა უფრო ცოტა კარგადა ვარ, — წარმოსთქვა მშფოთარის ხმით ავადმყოფმა და ტკბილად ჩაეძინა.

მერცხალი გამობრუნდა ბედნიერ მეფის ასულთან და რაც ნახა ყველაფერი უამბო.

— გასაკვირველია, — დააბოლოვა თვისი სიტყვა, — ეხლა უფრო მთბილა, თუმცა სიცივეა.

— ეს იმისთვის, რომ სიკეთე ჩაიღინე, — მიუგო მეფის ასულმა.

ქიკიკია კი ფიქრებში გაერთო და მალე ჩაეძინა: ფიქრები მას მუდამ ძილს მოჰგვირდნენ ხოლმე.

გათენებისას მდინარისაკენ გასრიალდა მერცხალი და მდინარეში ბანაობა იწყო.

— რა უცნაური მოვლენაა, — გაიკვირვა ხილზე მიმავალმა ორნიტოლოგის პროფესორმა, — ზამთარში მობანავე მერცხალი! და ამის თაობაზე ადგილობრივ გახეთში უშველებელი მოხსენება მოათავსა. ყველა საკიროდ სთვლიდა იქიდან ციტატები ამოელო, თუმცა მომეტებულ ნაწილისთვის სამეცნიერო ტერმინებით სავსე წერილი გაუგებარი იყო.

— დღეს ეგვიპტეში მივფრინდები, — გადასწყვიტა მერცხალმა და ამან კარგ გუნებაზე დააყენა. მთელი დღე ქალაქის დათვალიერებას მოანდომა და მერე სამრეკლოს გუმბათზე დაისვენა. საითაც კი უნდა გაფრენილიყო ბელურები ერთიმეორეს მასზე უთითებდნენ ზე ჟღივ-ჟღივობდნენ.

— „შენე, როგორი წარჩინებული უცხოელია!“ — რითაც ცოტა არ იყოს, მერცხალს თავი მოჰქონდა.

მთვარე ამოვიდა ზე მერცხალიც დაბრუნდა მეფის ასულთან.

— ეგვიპტეში ხომ არაფერს დამავალებ? — ჰკითხა მან, — საცაა ზას გავეუდგები.

— ჩემო კარგო, იქნებ ერთ ღამეს კიდევ დარჩებოდე? — შეევედრა მეფის ასული.


— ეგვიპტეში მიმელოდებიან. ხვალ ჩემი მეგობრები ჩან-

ჩქრებისაკენ გაფრინდებიან. იქ, ხშირ ტყეში, წყლის პირას ჰიპოპოტამები სთვლემენ, მაღალ კლდის სავარძელზე, კი ღმერთი მემონი განისვენებს. იგი მთელი ღამე ცას შესცქერის და როდესაც კი დილის ცისკარი გამოჩნდება მას მხიარულად მი-

ესალმება ხოლმე... და მერე ისევ გაჩუმდება. ყვითელი ლომები შუადღისას წყლის პირას გროვდებიან, თვალები მწვანე ბივრის მიუგავთ და მათ ღრიალის დროს ჩანჩქერის მზუილი აღარ ისმის.

— ჩემო მერცხალო! — კიდევ შეევედრა ქმეფის ასული, — იქ, შორს, ვხედავ სახლის სახურავ ქვეშ ოთახის მაგვარ სადგომში ახალგაზდას, ქალაღებით სავსე მაგიდაზე თავი ჩაუქინ-

ქართული მუზეუმი.



ქარაღა № 30, მეფე გიორგი მე-11-ის რახტი. (ვერცხლისა, ოქროში დაფერილი).

ქალის რახტი, (შემოწერილი მ. ვახ. კნ. ჯამბაკურ-ორბელიანის).

ქართული უნაგირი, ვერცხლით შექმნილი (შემოწერილი მისგანვე).

ღრავს, გვერდზე ქიქაში იის თაიგული უდგია, შავი ხუჭუქა თმები და ლალის ფერი ტუჩები აქვს, რალაც ღიღად ჩაფიქრებულა, ეჩქარება თეატრის დირექტორისთვის პიესა მოათავოს, მაგრამ ძალიან სცივა, ხელები მთლად გაჰყინვია: ბუნარში დიდხანია ცეცხლი ჩაჰქრობია, ლამის არის სიმშლიისაგანაც სული ამოჰხდეს.

— კარგი, ერთ ღამესაც კიდევ დავრჩები, მიუგო მერცხალმა, რომელიც მართლა კეთილი გულისა იყო. მეორე ღალი წავულო?

— მე ბედშავს ღალი აღარა მაქვს, მარტო თვალები-ღა დამრჩენია. ესენი ამ ათასი წლის წინად ინდოეთიდან წამოღებული იშვიათი საფირონისაგანაა გაკეთებული. ნისკარტით ერთი ამათვანი ამომთხარე და მას გაურბენინე. იგი ოქრომქედელს მიჰყიდის, აღებულ ფულით შეშასა და საქმელს იშოვის და პიესას მოათავებს.

— ჩემო მეფის ასულო, მაგას ვერ მოვიქმედებ, — და თვალებზე ცრემლები მოადგა.

— ჩემო კარგო, — ამისრულე ეს თხოვნა, — დაბეჯითებით ვვედრებოდა მეფის ასული.


მერცხალმაც ამოსჩიქნა ერთი თვალი და ჰაბუკს სახლში მიუტანა. სახლის სახურავში ჩუჩრუტანა მოსჩანდა, საიდანაც მას ვერ გაუქირდებოდა ოთახში შეფრენა.

ახალგაზდას თავი ხელებით ეჭირა და სრულიად ვერ გაუგია მერცხლის ფრთების შრიალი;

როცა კი თავი მალა ასწია დამქნარ იის თაიგულში შეამჩნია საუცხოვო საფირონი.

— ოჰო, ჩემი ნიქის თაყვანისმცემლები მიჩნდებიან, ეს აღბად ერთი იმთვანისაგანაა! ეხლა შემიდძლიან პიესა მოვათაო, — და თავი ბედნიერად იგრძნო.

სეორე დღეს მერცხალი ნავთსაყუდელისაკენ გაფრინდა ჩამოჯდა ერთ მაღალ იალქნის ძეგლზე და მეზღვაურებს თვალს ადევნებდა, თუ გქელი თოკებით მძიმე ყუთებს როგორა ზიდავდნენ.



საინტერესო ჯგუფი ისტორიულ ნივთებისა. მეფე თეიმურაზ მეორის წარბაზანი; ვრეკლე მეფისა (მარჯვნივ) და სოლ. ლეონიდის (მარცხნივ) ხმლები; აოფი, დამბაჩები და ზებუთი — აღექსანდრე ბატონიშვილისა და უზანგები მე-12 საუკ. (გაღმოცემით, დავით აღმაშენებლის).

— აბა ერთად! — ყვიროდნენ იგინი, როცა გემზე ახალი საპალნე გამოჩნდებოდა.

— ეგვიპტეში მივფრინავ! — ქიკიკობდა მერცხალი, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა. და მთვარის ამოსვლისათა-ნავე გაბრუნდა ბედნიერ მეფის ასულთან.

— გამოსამშვიდობებლად მოვედი, — უთხრა მან.
 — მერცხალო, მერცხალო, დარჩი კიდევ ჩემთან!
 — ეხლა ზამთარია, მალე ცივი თოვლი მთელს ქალაქს დაჭარავს. გვევბოტეში თბილი მზე თვის სქვეებს აფრქვევს ბზაკალს და ზარმაცად აქეთ-იქით მაცქერალ ლამზე მწოლარე ნიანგებს. ჩემი ამხანაგები უკვე ბელბეკის ეკლესიაში ბუდეებს იშენებენ და მათ თეთრი და ვარდი ფერი მტრედები ღულუნით შესცქერაიან. ჩემო კარგო მეფის ასულო, უნდა გაგზორდე, მაგრამ არას დროს არ დაგივიწყებ, მომავალ გაზაფხულზე კი გაცემულების სამაგიეროდ ორ ჩინებულ ძვირფას ქვას მოგიტან, ჩემი საფირონი ზღვაზე მუქი იქნება და ლალი კი თვისი სიწითლით მუქ ვარდს გადააქარბებს.

— ბაღში, ბილიკზე ასანთის გამყიდველი გოგო სდგას; მას თვისი საქონელი არხში ჩაუვარდა და ასანთი მთლად გაუფუჭდა. მამა სასტიკად მიჰბეგვამს, თუ ცოტაოდენი ფული მაინც არ მიუტანა, და ამიტომაც სტირის. იგი ფეხშიშველაა და თავზედაც არაფერი ახვევია. ამომჩიჩქნე მეორე თვალიც, წაუღე მას და გადაარჩინე ცემისაგან.
 — ერთ ღამეს კიდევ დავრჩები, — უთხრა მერცხალმა, — მაგრამ თვალს ვერ ამოგთხრი: მაშინ ხომ მთლად ვეღარ დაინახავ.

— გეთაყვა, გამიგონე, რასაცა გთხოვ.
 იმანაც უსმინა. საფირნით გაექანა და გოგოს ხელში ჩაუღო.

— რა მშვენიერი შუშაა! — სიხარულით წარმოსთქვა გოგონამ და სიცილით სახლისკენ მოჰკურცხლა.
 დაბრუნებისას მერცხალმა მეფის ასულს უთხრა:
 — აი, თვალთა ხედვა დაჰკარგე, ამიტომ ეხლა სამუდამოდ შენთან დავრჩები.

— არა, ჩემო ჩიტუნიავ! მიუგო მეფის ასულმა, ეხლა უნდა გვევბოტეში გაფრინდე.
 — სამუდამოდ შენთანა ვრჩები, — გაუმეორა მერცხალმა და იქვე მის ფერხთ მაგრა ჩაეძინა.

მთელი მეორე ღღე მეფის ასულის მხარზე მჯდარი მოუთხრობდა მერცხალი, თუ რა უნახავს შორეულ უცხო ქვეყნებში. უამბობდა ვარდისფერ ძენძერუკებისას, რომელნიც ნილოსის პირას ჩანწყრივებულნი თვისი გძელი ნისკარტით ოქროს თევზებს იქერდნენ. უამბობდა სფინქსისას, რომელიც ისევე ხნიერია, როგორც დედა-მიწა, სცხოვრობს უდაბნოში და ყველაფერი იცის; იცნობს აქლემების უკან მარჯნის კრიალოსნით ხელში მიმავალ სოვდაგრებს; უამბობდა მთვარის მთების შავ ხესავით შავ მეფის თაობაზე, რომელიც თაყვანსა სცემს დიდ ბროლის ნაქერს; უამბობდა ბზაკალზე მძინარე უშველებელ მწვანე გველისას, რომელსაც ქურუმები თაფლის კამფეტებითა ჰკვებავენ; აგრედვე მოუთხრობდა პიგმეების *) ამბავს, რომელნიც დიდ ფოთლებზე მსხდარნი დასცურავენ ტბაზე და პეპელებს ეომებიან.

— ჩემო ჭიკჭიკავ, — შეაჩერა მეფის ასულმა, — შენი ნამბობებით გაკვირვებაში მოვდივარ, მაგრამ ისე არაფერი მაკვირვებს, როგორც ადამიანის ტანჯვა და გაკირება. სიღარიბეზე მეტი უბედურება აღარა იქნება. მერცხალო, შემოიფრინე მთელი ქალაქი და მიაძებ სად რასა ნახავ.

მერცხალიც გაფრინდა, ნახა თუ მდიდრები თავიანთ საუცხოვოდ მოწყობილ დარბაზებში როგორ მხიარულობენ და ამავე დროს კი მათ ეზოს კარებს წინ ლტაკები სხედან. მიფრინავდა ბნელ ვიწრო ქუჩებშია და ხედავდა მშვიერ ბავშვების გაყვირებულ სახეებს. ხიდის თაღ ქვეშ ორი ბიჭიკო იწვა, ერთი-მეორეს ეკვროდა და ცდილობდნენ ერთმანეთი გაეთბოთ.

— ჟუჰ, ძალიანა მშინა! — ჩიოდნენ ივინი.
 — აქ დაწოლის ნება ვინ მოგცათ! — დაუტია პოლიციელმა და იმათაც წვიმაში სხვაგან გასწიეს.
 მერცხალი მობრუნდა მეფის ასულთან და რაც ნახა ყველაფერი უამბო.

— მე თხელი ოქროს ფურცლებითა ვარ შემოსილი, თითოდ ამაძერ და ჩემს საწყლებს დაურვიე. ხალხსა ჰგონია, ვითომც ოქრო მას გააბედნიერებს, — სთქვა მეფის ასულმა.

მერცხალი ოქროს ფურცლებს სათითაოდ აშორებდა მეფის ასულს, რისგანაც იგი რუხი, უშნო შეიქნა. სათითაოდვე ურიგებდა ღარიბთ, რისგანაც არა ერთი და ორი ყმაწვილის ლოყა სიხარულისაგან წითლდებოდა და ეხლა უფრო ქუჩაში მხიარულად თამაშობდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

„ეხლა პური გვაქვსო!“
 მოვიდა თოვლი და ყინვებიც დაიქირა. ქუჩები ვერცხლებრივ ბრწყინავდა. სახურავის ნაპირებზე ყინულები ისე ჩამოკიდებულიყო, თითქოს ბროლის ხანჯლებიაო; ყველა თბილად ჩაცმულიყო, და წითლებში გამოწყობილი ცელქი ბავშვები კი ყინულზე მხიარულად დაცურაობდნენ.

საბრალო მერცხალს თანდათან უფრო და უფრო სციოდა, მაგრამ მეფის ასული მდენად შეუყვარდა, რომ თავს ვეღარ ანებებდა. ის ჩუმად მებუღკის კარებს წინ ჰკენკავდა ნამცეცებს და ფრთების განძრევით სცდილობდა გამთბარიყო. ბოლოს იგრძნო, რომ მისი აღსასრულის დღე მოახლოვდა და უკანასკნელად მეფის ასულს მხარზე შეაფრინდა.

— მშვიდობით, ჩემო კარგო მეფის ასულო, — წაიჩურჩულა მერცხალმა, — ნება მიბოძე ხელზე გემთხვიო?

— ძალიან მოხარული ვარ, რომ ეხლა მაინც მიჰფრინავ გვევბოტეში, ჩემო ჭიკჭიკავ, — უთხრა მან, — აქ დიდხანს მოგიხედა და დაყოვნება; არა, ხელზე კი არა, ისე მიყვარხერ, რომ უსათუოდ ტუჩებში უნდა მაკოცო.

— გვევბოტეში კი არა, სიკვდილის სამეფოში მიეფრინავ. და მეფის ასულის ტუჩებში კოცნისათანავე მის ფეხებთან უსულოდ დაეცა.

ქანდაკების შიგნით უცნაური ტკაცანი გაისმა, თითქოს რაღაცა გასკდაო. ეს მეფის ასულის გული იყო, რომელიც ორად გაიბო; უეჭველია, დიდი ყინვა იქნებოდა.

მეორე ღღეს დილა-ადრიაანად ქალაქის საბჭოს წევრის თანხლებით ბაღში დასეირნობდა ქალაქის თავი. მან სვეტის გვერდზე გავლისას შეხედა ქანდაკებას და გაკვირვებული დარჩა.

— ღმერთო ჩემო! ჩვენი მეფის ასული როგორ გაყვლფელია და შესაბრალისად გამოიყურება.

— მართლაც, რა საბრალოა! — გაიმეორა საბჭოს წევრმა, რომელიც მუდამ ქალაქის თავის სიტყვას კვერს უკრავდა. და სვეტზე აცოცდნენ, რათა მეფის ასული უფრო კარგად გაესინჯათ.

— ხმლის ტარიდან ლალი ამოვარდნილა, თვალეზიც აღარა აქვს, ოქროც მთლად ჩამოშორებია, — იძახდა ქალაქის თავი, — მხოლოდ მათხოვარაზე ცოტა უკედ გამოიყურება.

— დიახ, მხოლოდ მათხოვარაზე უკედ გამოიყურება, — გაიმეორა საბჭოს წევრმა.

— ფეხებთან კი მკვდარი ფრინველი გდია!
 — განაგრძობდა ქალაქის თავი, — უნდა განკარგულგება მოვახდინოთ, რომ აქ ფრინველებს სიკვდილი აკრძალული აქვთ!

ქალაქის მდივანმაც ამის გამო შესაფერი შინაარსიანი განცხადება დასწერა.

გადასწყვიტეს, ბედნიერ მეფის ასულის ქანდაკება აეღოთ. — მასში აღარაფერი სილამაზეა და ამისთვის არც სასარგებლოა, — სთქვა ესთეთიკის პროფესორმა.

ქანდაკება გადაადნეს და ქალაქის თავის მეოხებით მოხდა კორპორაციის კრება იმის გადასაწყვეტად, თუ ამ ლითონისაგან რა გააკეთონ.

— რასაკვირველია, ახალი ქანდაკება უნდა დავდგათ და იგი ჩემი საკუთარი ბიუსტი იქნება, — იძახდა ქალაქის თავი.

— თქვენი კი არა — ჩემი, — იძახდა ყველა საბჭოს წევრი და გაიმართა ცხარე კამათი.

რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგე, ისინი კიდევ ამის თაობაზე ბკობდნენ და ერთმანეთში შეხლა-შემოხლა მოსდიოდათ.

— საკვირველია! — სთქვა უფროსმა ლითონის გამდნობელმა მუშამ, — ეს გახეთქილი გული რამდენი არ ვახურეთ და მაინც ვერ გავადნეთ, მეტი გზა არ არის, უნდა გადავადგოთ! მართლაც თვისი სიტყვა სისრულეში მოიყვანა და გული ნავავში გადაადდეს, სადაც მკვდარი მერცხალიც ეგდო.

ღმერთმა უთხრა თვის ანგელოზს:
 — იმ ქალაქიდან ისეთი რამ მომიტანე, რაც უფრო ყველაზე ძვირფასი იყოსო. ანგელოზმაც მეფის ასულის ტყვიის გული და ფეხებ გაფშეკილი მერცხალი მიუტანა.

— შენი არჩევანი ნამდვილია, — სთქვა ქვეყნის გამჩენმა, — რადგანაც ჩემს სამოთხეში ამის შემდეგ ეს მერცხალი იწყებს ჭიკჭიკს და ბედნიერი მეფის ასული კი მუდამ მაღიღებს ჩემს ბრწყინვალე განსასვენებელში.

ალ. მამულაშვილი.

*) პიგმეები — ქონდრის კაცები, ძალიან პატარა ადამიანები.